PDF Eraser Free

დანართი №3

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა შარაბიძე
წევრი
ინგა ბაქრაძე

(ქალაქი, წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **417878130**

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №333548 ბრძანების (08.04.2020) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ინგა ბაქრაძე - წევრი

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად განხორციელება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი მიერ 2020 წლის 19 მარტს წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაიმატა 2019 წლის სექტემბერში საგანმანათლებლო პროგრამებთან „ვეტერინარია“ და „საექთნო განათლება“ ერთად. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის დროს გასცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- **რეკომენდაცია მიეცათ საგანმანათლებლო სტანდარტის (საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვეტერინარია“ პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანონ საგანმნათლებლო სტანდარტის ჩანაწერთან (1.1)**
- **რეკომენდაცია მიეცათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, მათთან დადონ ხელშეკრულებები, რომელშიც მითითებული იქნება პრაქტიკის ობიექტზე დასადასტურებელი მოდულების სწავლის შედეგები, საჭირო მატერიალური რესურსი და ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (1.1)**
- **რეკომენდაცია მიეცათ, გაასწორონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა, მოდულზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით (1.1)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ადმინისტრაციული რეკომენდაციები დაწესებულებამ საბჭოს სხდომამდე გაითვალისწინა და წარმოადგინა, ხოლო უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამასთან „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიმართებაში ექსპერტებს ხარვეზი არ დაუფიქსირებიათ და რეკომენდაციები არ გაუციათ.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

დისტანციური განხილვის დროს ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის მხრივ არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

- სასურველია, სასწავლო პროცესის განახლებამდე, მოხდეს სს გეფას მენეჯერების გადამზადება შეფასების ორგანიზების და განხორციელების მიმართულებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით;
- სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, რათა კვლავაც დაცული იქნას პროფესიული სტუდენტების უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისათვის;
- სასურველია, ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ და გააერთიანონ სხვადასხვა დოკუმენტებში ერთიდაიმავე საკითხებზე გაკეთებული ჩანაწერები, დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	№74, 04.09.2019; № 89, 20.09.2019; №5, 20.02.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. გორი, ცხინვალის გზატკ.№9
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	40 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით, ქ. გორი, ცხინვალის გზატკ.№9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	40 პროფესიული სტუდენტი
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით, ქ. გორი, ცხინვალის გზატკ.№9

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ) „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy.

კვალიფიკაციის კოდი-0916.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება;

მისი მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 123 კრედიტს, მათ შორის: 3 ზოგადი მოდული 11კრ., 26 პროფესიული მოდული - 109 კრ. და 1 არჩევითი მოდული - 3 კრ., ხოლო ხანგრძლივობა - 82 სასწავლო კვირა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 153 კრედიტია, ხანგრძლივობა - 102 სასწავლო კვირა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ისეთი კადრები, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

ისევე როგორც, **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** „ფარმაცია (სააფთიაქო)“, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების იდენტურია და ამიტომ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, ასევე, **არჩევითი მოდულიც** (მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები), ჩარჩო დოკუმენტით არის განსაზღვრული და ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ჩარიცხვა განხორციელდა 2019 წლის შემოდგომაზე (33 სტუდენტი), ფაქტიურად თითქმის სრულად მოხდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 ადგილი) ათვისება, **თუმცა,** მსურველთა ნაკადი მაინც დიდია და ამავე დროს რეგიონში სააფთიაქო ქსელების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნაც მატულობს, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის გაორმაგების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება დაწესებულების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და გამომდინარეობს პსდ-ს მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მათზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა დაწესებულების ხედვაში, სტრატეგიულ გეგმასა და 2020 წლის სამოქმედო გეგმაშია გაწერილი). საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი წარიმართა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიით, რომელიც შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესებითაა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება№38,14.06.2019წ.) განსზღვრული. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შერჩეული ორგანიზაციების მიმართულება, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი მარეგულირებელი დებულების (ბრძ.№18, 13.03.2020წ) მიხედვით შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი დირექტორის პრეროგატივაა.
პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი დირექტორის მიერ (№74 04.09.2019), პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა ორჯერ (№89 20.09.2019 და №5 20.02.2020.)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სამოქმედო გეგმა (2020);
- საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია ბრძ. №26, 18.03.2020);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება№38,14.06.2019წ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი მარეგულირებელი დებულება, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი დირექტორის ბრძანება;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კერძოდ:

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №202 - 20 სტუდენტზე. №202 - სასწავლო აუდიტორია მდებარეობს ქ. გორში, ცხინვალის გზ.№9, შენობის მეორე სართულზე, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო პლაკატებით. დამატებით აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №209 - 20 სტუდენტზე. №209 - სასწავლო აუდიტორია მდებარეობს ქ. ცხინვალის გზ.№9, შენობის მეორე სართულზე, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო პლაკატებით. დამატებით აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

C გარემო-სასწავლო - პრაქტიკული აუდიტორია №110 - 20 სტუდენტზე. №110 - სასწავლო - პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის მდებარეობს ქ. გორში ცხინვალის გზ.№9 შენობის პირველ სართულზე, აუდიტორია წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს, სადაც განთავსებული არის სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული.

გარდა ამისა, დაწესებულებას დამატებით აქვს შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.

B გარემო -კომპიუტერული კლასი №109 - 20 სტუდენტზე, რომელიც მდებარეობს ქ. გორში ცხინვალის გზ.№9 შენობის პირველ სართულზე და სრულადაა აღჭურვილი მოდულის „**ინფორმაციული წიგნიერება**“ განსახორციელებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა კომპიუტერული კლასის გამტარიანობის დასადგენად, დამატებით მოითხოვა კოლეჯში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მიერ კომპიუტერული კლასის დატვირთვა. ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ კომპიუტერულ კლასს შეუძლია ერთად მოემსახუროს ყველა საგანმანათლებლო პროგრამას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმი.

კერძოდ:

1. **შპს „პსპ ფარმა“** - ხელშეკრულება- 2018/05 03.08.2018 წელი, ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2025 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას,

ხელშეკრულება- 2018/05-ზე თანდართული შეთანხმებაN1 20.09.2019წ., რის თანახმად შემსრულებელს- შპს პსპ ფარმა, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შეუძლია ერთჯერადად მიიღოს და გაუწიოს მომსახურება 40 სტუდენტს.

დანართი N 1- ში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან 8 პროფესიულ/ დარგობრივ მოდულს.

1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების,გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა
2. მცირე შეფუთვებად მზა წამლისფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება
3. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება
4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში
5. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა
6. მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა
7. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა
8. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართში ასევე შეტანილია ის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც სასწავლო მიზნებისათვის უზრუნველყოფილი/ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. **სს„გეფა“** - ხელშეკრულება- 02.03.2020 წელი, ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2021 წლის 2 მარტამდე. ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე თუ რომელიმე მხარე არ შეწყვიტს ხელშეკრულებას იგი ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით და პირობებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. შესაბამის ვალდებელებებს ორივე მხრიდა. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ სააფთიაქო ქსელი 7 სტუდენტზე გამოჰყოფს 1 სპეციალურად გადამზადებულ ფარმაცევტს.
თანახმად შემსრულებელს- სს გეფა პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შეუძლია ერთჯერადად მიიღოს და გაუწიოს მომსახურება 40 სტუდენტს.
ხელშეკრულების დანართი N 1- ში მითითებულია ის 8 პროფესიულ/დარგობრივ მოდული, რომელსაც პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან
1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების,გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა
2. მცირე შეფუთვებად მზა წამლისფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება
3. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება
4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში
5. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა
6. მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა
7. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა
8. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა
ასევე დანართში N1 შეტანილია ის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც სასწავლო მიზნებისათვის უზრუნველყოფილი/ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის.
დანართი N2 გაწერილია შეთანხმება პერსონალური მონაცემების შესახებ.
3. **შპს „გორიფარმი“** - ხელშეკრულება 20. 05. 2019 წელი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2025 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, დანართი N 1- ში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან 5 პროფესიულ/ დარგობრივ მოდულს. (ტექნიკური შეცდომა დანართში მითითებულია 8 პროფესიული მოდული, ნაცვლად 5-ისა)
1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების,გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა
2. მცირე შეფუთვებად მზა წამლისფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება

4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში

5. მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა

ასევე დანართში N1 შეტანილია ის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც სასწავლო მიზნებისათვის უზრუნველყოფილი/ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის.

[redacted]

4. [redacted] მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 05.06. 2019 წელი. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. 05.06. 2019 წელით არის გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც მითითებულია პროფესიული/ დარგობრივი მოდულების დასახელება, რომელთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოხდება აფთიაქში. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან 4 პროფესიულ/ დარგობრივ მოდულს.

დისტანციური გასაუბრების დაწესებულების და აფთიაქის წარმომადგენლებთან გაირკვა, რომ აღნიშნული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტები მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. კოლეჯს ამჯამად ჰყავს 33 პროფესიული სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო). სრუდენტებმა ამ დროისთვის შპს ,,პსპ ფარმა“-ს 4 აფთიაქში გაიარეს 2 მოდული. სადაც მათ ჰყავდათ სააფთიაქო ქსელის მიერ გამოყოფილი მენტორები.

სს გეფას წარმომდგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში სააფთიაქო ქსელს გამოყოფილი აქვთ 3 GPC და 7 ფარმადეპოს აფთიაქი, სადაც სწავლების პროცესს უზრუნველყოფენ ამ პროგრამისთვის სპეციალურად შერჩეული აფთიაქის მენეჯერები. მენეჯერების დასაქმება ამ პოზიციაზე განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: აფთიაქის მენეჯერს აქვს უცვლელი სამუშაო გრაფიკი, ფარმაცევტებისგან განსხვავებით. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა განსაზღვრულ დროს მიმართვიანობისას, შეუფერხებელ სწავლების პროცესს.

თუმცა, ვინაიდან სს გეფას მენეჯერებს არ აქვთ მოდულის მიხედვით შეფასების განხორციელების (შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, უწყისის წარმოების) გამოცდილება, ამიტომ სასურველია სასწავლო პროცესის განახლებამდე მოხდეს მენეჯერების გადამზადება შეფასების ორგანიზების და განხორციელების მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პერსონალის და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით, მით უფრო რომ ამ მიმართულებით მზადყოფნა როგორც კოლეჯის მხრიდან, ასევე სს გეფას მხრიდან არის, რაც ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს (14 პროფესიული მასწავლებელი) აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საგანმანათლებლო პროგრამას ყავს ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი ორი ხელმძღვანელი, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი კოლეჯის მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

თუმცა, <u>შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, რომელიც ითვალისწინებს სხვა გადასამუშავებელ დოკუმენტებთან ერთად, პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გადასამუშავებელია და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები (მათ შორის პერსონალის მოზიდვის, შერჩევა/დანიშვნის პროცედურები) შესამუშავებელია. აღნიშნული დოკუმენტების შესრულების ვადად განსაზღვრულია 29.05.2020წ., ხოლო პასუხისმგებელი პირები არიან კოლეჯის იურისტი და პერსონალის მართვის მენეჯერი.</u>

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გადამოწმება, როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს, ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, და აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფს, შენიშვნა და რეკომენდაცია არ გაუცია. დისტანციური განხილვის დროს, ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სწავლის დაწყებიდან დღემდე, საგანმამათლებლო რესურსების დამატება/განახლება არ მომხდარა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Erase Free

რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

ექსპერტთა მოთხოვნით დაწესებულებამ გადმოაგზავნა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დათვლილია ერთ ჯგუფზე (20 პროფესიული სტუდენტი) და რომლის ხარჯვით ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება ხელფასები, მასალა - ნედლეულის შეძენის, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვ.

სასურველია, სასწავლო პროცესის განახლებამდე, მოხდეს სსს გეფას მენეჯერების გადამზადება შეფასების ორგანიზების და განხორციელების მიმართულებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია ბრძ. №26, 18.03.2020);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი მარეგულირებელი დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დისტანციურად საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავების მიზნებს; სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპებს; სწავლების ხარისხის შეფასების ფორმებს; პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებას; საზოგადოებრივი კოლეჯის შიდა შეფასების შედეგებს და დასაკვნით დებულებებს. კოლეჯი მისიასთან შესაბამისობის მიზნით, იყენებს სასწავლო პროცესის სწავლების ხარისხის შემოწმების შემდეგ ფორმებს: განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებას; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას; ჯგუფის შეფასებას პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ; კურსდამთავრებულების გამოკითხვას; კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვას; კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზს; პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართვას სასწავლო გეგმის შემუშავებაში; გარე ფაქტორების ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, რომელიც ითვალისწინებს სხვა გადასამუშავებელ დოკუმენტებთან ერთად, კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქციის გადამუშავებას, სადაც პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმების გადამუშავებას. აღნიშნული დოკუმენტების შესრულების ვადად განსაზღვრულია 29.05.2020 წ., ხოლო პასუხისმგებელი პირები არიან ხარისხის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის იურისტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი ვებ გვერდზე განყოფილებაში „ხარისხის მექანიზმები“ განთავსებული დოკუმენტები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები;
- ხარისხის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (საფთიაქო)“ 2019 წლის შემოდგომაზე ჩარიცხული 33 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, მეცადინეობების განრიგის შესაბამისად მიმდინარეობდა. დასრულდა როგორც ზოგადი, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდული ხუთი მოდული და უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატებოდა მათთვის მოქნილი და მოსახერხებელი მეცადინეობების დროის შერჩევით პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციაში (შპს პსპ ფარმას აფთიაქებში).
ინტერვიუს დროს, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში გაწერილი სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობდა. რაც შეეხება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, აღინიშნა, რომ ამჟამად პროგრამაზე არ სწავლობს არცერთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტი. ხოლო, რაც შეეხება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, იგი გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებაში (მუხლი5.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწვრილებითი ინფორმაცია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების, მათთან გაფორმებული მემორანდუმების და ხელშეკრულებების შესახებ <u>იხილეთ 2.2.1-ში.</u>

დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ქიმიურ ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სასწავლო ლაბორატორიაში ქცევის და უსაფრთხოებს წესები.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულება გაწერილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

თუმცა, <u>შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, რომელიც ითვალისწინებს სხვა გადასამუშავებელ დოკუმენტებთან ერთად, პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესის შემუშავებას მიდინარე წლის 10 მაისამდე. პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დაწესებულების იურისტი.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)";
- სასწავლო გეგმა და დასრულებული მოდულების მეცადინეობების განრიგი;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№ 21, 13.03.2020წ.) შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები;
- ინტერვიუ დაწესებულების ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№ 21, 13.03.2020წ.) შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის, პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურის, შეფასების ინსტრუმენტის და უწყისების შემუშავების და შენახვის ვადების, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის შესახებ ჩანაწერებს. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დასრულებულ მოდულებზე შეფასება მარეგულირებელ დოკუმენტების შესაბამისად ჩატარდა, პროფესიული სტუდენტების მხრიდან აპელაციის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაწესებულებას გადაწყვეტილი აქვს გადახედოს ყველა მარეგულერებელ წესს და დოკუმენტს, გადაამუშაოს, შეავსოს და დახვეწოს ისინი ახალი სტანდარტების შესაბამისად, ამიტომ ჩვენი რჩევა იქნება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, რათა კვლავაც დაცული იქნას პროფესიული სტუდენტების უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისათვის.

<u>შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, რომელიც ითვალისწინებს სხვა გადასამუშავებელ დოკუმენტებთან ერთად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისთვის ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებას მიდინარე წლის 29 მაისამდე. პასუხისმგებელ პირებად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

<u>განსაზღვრულია დაწესებულების ხარისხის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელები. ასევე მიდინარე წლის 29 მაისამდე შესამუშავებელია შეფასების უწყისის ფორმა, რომელშიც თავს მოიყრის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები. პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია დაწესებულების ხარისხის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი.</u>

სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, რათა კვლავაც დაცული იქნას პროფესიული სტუდენტების უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, ამიტომ მიგვაჩნია, რომ სასურველია ყურადღება მიაქციონ ინტერვიუს დროს, ექსპერტების მიერ გამოთქმულ რჩევას და ახალი რეგულაციების შემუშავების და გადამუშავების პროცესში გაითვალისწინონ და გააერთიანონ სხვადასხვა დოკუმენტებში ერთიდაიმავე საკითხებზე გაკეთებული ჩანაწერები, დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

სასურველია, ახალი რეგულაციების შემუშავების და გადამუშავების პროცესში გაითვალისწინონ და გააერთიანონ სხვადასხვა დოკუმენტებში ერთიდაიმავე საკითხებზე გაკეთებული ჩანაწერები, დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№ 21, 13.03.2020წ.) შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	-
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი
(ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

21.05.2020წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თარიღი PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------